საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N699 2019 წლის 29 მარტი ქ. თბილისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის დაფუძნების შესახებ

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის (შემდგომში – რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკა) დაფუძნება.

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს:

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის წესდების პროექტისა და ხელმძღვანელი პირ(ებ)ის კანდიდატურ(ებ)ის წარდგენა;

ბ) რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის დაფუძნების შემდგომ, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საჭიროებისამებრ, ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის საჭირო შესაბამისი ქონებ(ებ)ის გადაცემა.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის დაფუძნებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

4. რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის დაფუძნების შემდგომ მისი დამფუძნებლის ყველა უფლებამოსილება განახორციელოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მართვაში არსებულმა შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრმა“ (საიდენტიფიკაციო კოდი – 236035517).

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**